

**იძულებით გადაადგილებულ პირთა გრძელვადიანი
საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით შენობის
გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში
გადაყვანის სტანდარტული ოპერაციული პროცედურა (სოპ)**

1. დოკუმენტის მიზანი და მოქმედების სფერო

დოკუმენტის მიზანია დევნილების გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით ამჟამინდელი საცხოვრებლის გამოთავისუფლებისა და სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესის რეგულირება, ასევე მათი გრძელვადიანი/ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფა. სოპ-ი წარმოადგენს იმ კომპლექსური ღონისძიებების განუყოფელ ნაწილს, რომლის მიზანია იმ დევნილების გრძელვადიანი საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, რომელთაც ეს ესაჭიროებათ, უპირველეს ყოვლისა კი ეს ეხება იმ შენობაში მაცხოვრებლებს, რომელთაც კოლექტიური ცენტრის სტატუსი აქვთ, “იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ” საქართველოს კანონისა და “იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის” შესაბამისად.¹

სოპ-ი წარმოადგენს იმ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომლებიც ჩართულნი არიან შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესებში (შემდგომში სახელმწიფო ორგანოები), განსაკუთრებით კი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) და შინაგან საქმეთა სამინისტრო (შემდგომში პოლიცია).

სოპ-ი ითვალისწინებს აღნიშნულ პროცესებში ჩართული მხარეების უფლებებსა და ინტერესებს - შენობის მესაკუთრის, დევნილების, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების და საერთოდ საზოგადოების ჩათვლით, გულისხმობს რა შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის საჯაროდ და გამჭვირვალედ წარმართვას, რაც მომართულია უფლებების დაცვასა და უფლებათა კოლიზიისა და ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში ბალანსის დაცვაზე. შესაბამისად, დოკუმენტი პროცესებში ჩართული ყოველი მხარისათვის განსაზღვრავს ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს.

სოპ-ი ეფუძნება შემდეგ სამართლებრივ აქტებსა და სტრატეგიულ დოკუმენტებს: საქართველოს კანონი “იძულებით გადაადგილებულ პირთა

¹ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 2 თებერვლის №47 განკარგულება “იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ”.

– დევნილთა შესახებ”², საქართველოს მთავრობის განკარგულება დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის განკარგულება “იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ”³, დევნილების გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები, კრიტერიუმები და პროცედურები⁴ და შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება⁵.

მოცემული დოკუმენტი მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების დაცვასა და შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესში ჩართული მხარეების, მათ შორის დევნილების, უფლება-მოვალეობების განსაზღვრას.

2. შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესის წამოწყება

შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესის ინიცირება შესაძლოა მოხდეს მხოლოდ შენობის კანონიერი მფლობელის მირ, რომელიც შეიძლება იყოს სახელმწიფო დაწესებულება, კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი. შენობის დაცლის მოთხოვნა მასში მცხოვრები პირებისაგან, რომლებიც მესაკუთრეს ხელს უშლიან ქონების ფლობასა და გამოყენებაში, წერილობით უნდა გაიგზავნოს იმ რაიონის პოლიციაში, სადაც შენობაა განთავსებული. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც გათვალისწინებულია შინაგან საქმეთა მინისტრის #747 ბრძანებაში.

² საქართველოს კანონი “იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ” მიიღეს 1996 წელს და მასში შესწორება შევიდა 2006 წლის 9 ივნისს.

³ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულება “იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ”.

⁴ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები და კრიტერიუმები, რომელიც შაიმუშავეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ფარგლებში არსებულმა დროებით ექსპერტთა ჯგუფებმა და რომლის დამტკიცებაც მოხდა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. *სამეთვალყურეო საბჭო შეიქმნა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ, რომელიც ახორციელებს დევნილთა სამოქმედო გეგმის განხორციელების ზედამხედველობას.*

⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანება “საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ”

მესაკუთრე პოლიციაში მიმართვამდე⁶ მიმართავს სამინისტროს, რათა დაადგინოს ცხოვრობენ თუ არა დევნილები იმ შენობაში, რომლის გამოთავისუფლებასაც ის ითხოვს და სამინისტროს ცნობა-ინფორმაციას ურთავს განცხადებას პოლიციაში.

იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა შეიტყობს, რომ შენობა, სადაც დევნილები ცხოვრობენ, შესაძლოა დაინგრეს, ან ამ შენობაში არის სხვაგვარი პირობები, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან პირთა ჯანმრთელობას, დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს შენობის გამოთავისუფლება/სხვა საცხოვრებელში გადაყვანა, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების რეგულაციების შესაბამისად. თუ საშიშროება მწვავეა, სოპ-ით განსაზღვრული ვადები შესაძლოა შემცირდეს, თუმცა დაცვის პროცედურები, ასევე ალტერნატიული საცხოვრებლის შეთავაზების პროცედურები უცვლელი რჩება.

3. პროცესში ჩართული მხარეების ფუნქციები და მანდატი/ძირითადი საკითხები

3.1. სამინისტრო პასუხისმგებელია:

3.1.1. იმის გარკვევა (ა) აქვს თუ არა გამოსათავისუფლებელ შენობას კოლექტიური ცენტრის სტატუსი და (ბ) ამ შენობაში მცხოვრებთაგან არის თუ არა ვინმე დევნილის სტატუსის მატარებელი, ან ცხოვრობენ თუ არა მასში დევნილის სტატუსის მადიებელი, რათა დევნილთა განსახლება სპეციალურ დაცვის რეჟიმში მოხდეს⁷;

3.1.2. ინდივიდუალური მონაცემების საფუძველზე და პროფაილინგზე დაყრდნობით იმის შეფასება შესთავაზეს თუ არა დევნილებს, ან შესაძლოა თუ არა შესთავაზონ ალტერნატიული საცხოვრებელი, ასევე დაცულ იქნა თუ არა დევნილთა შესახებ კანონის მოთხოვნები გამონაკლის შემთხვევებში შენობის გამოთავისუფლების თაობაზე და უნდა მიეცეს თუ არა პოლიციას ნებართვა შენობის გამოთავისუფლების ღონისძიებების აღსრულების თაობაზე;

3.1.3. დევნილთა ინფორმირება ალტერნატიული საცხოვრებლის შესახებ, სხვა საცხოვრებელში გადაყვანის შესახებ და იმის შესახებ გაიცა თუ არა ნებართვა შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის თაობაზე მესაკუთრის ან პოლიციისათვის, ან გაიცა თუ არა დოკუმენტი ამგვარი ზომების დაუშვებლობის შესახებ;

3.1.4. სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესის ეფექტურად განხორციელების ზედამხედველობა, დევნილების უსახლკაროდ დარჩენის

⁶ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანება “საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ”, მუხლი 3, ნაწილი 3 (გ)

⁷ საქართველოს კანონი “იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ”, მუხლი 5

თავიდან აცილებისა და დევნილების ფიზიკური გადაადგილების პროცესის, მათ შორის დევნილთა კუთვნილი ნივთების გადატანის, კოორდინაციის მიზნით;

სამინისტროს პასუხისმგებლობას წარმოადგენს გამოსათავისუფლებელი შენობის სტატუსისა და მასში მცხოვრები დევნილების იდენტიფიცირება. სამინისტრო ასევე ახორციელებს ინდივიდუალური მონაცემების შემოწმებას, იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური შემთხვევებისათვის, უზრუნველყოფს დევნილთა ინფორმირებასა და კონსულტირებას, შესაბამის წერილებს უგზავნის პოლიციას, ზედამხედველობას უწევს შენობის გამოსათავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესს, ახდენს დევნილების სხვა საცხოვრებელში გადაყვანის კოორდინაციას, დევნილთა პირადი ნივთების გადატანის ჩათვლით ახალ საცხოვრებელ ადგილებში.

3.2. პოლიცია პასუხისმგებელია:

3.2.1 განაცხადების შესწავლა №747 ბრძანების შესაბამისად;

3.2.2 იმის დადგენა, (ა) აქვს თუ არა განმცხადებელს კანონიერი მფლობელის სტატუსი, (ბ) დაკმაყოფილებულ იქნა თუ არა №747 ბრძანების მოთხოვნები, სავალდებულო დოკუმენტების წარდგენის ჩათვლით;

3.2.3. იმის გადამოწმება, რომ შენობაში არ ცხოვრობენ დევნილები, თუ სამინისტროსაგან არანაირი შეტყობინება არ მიუღია №474 ბრძანების მე-3 მუხლის მე-3 (გ) პარაგრაფის მიხედვით. ხოლო თუ პოლიცია მაცხოვრებელთა შორის აღმოაჩენს დევნილებს, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სამინისტროს;

3.2.4 სამინისტროდან საკუთრებაში მყოფი უძრავი ნივთის ხელყოფისა თუ სხვაგვარად ხელშეშლის ფაქტის აღკვეთის დაუშვებლობის შესახებ შეტყობინების მიღების შესახებ, ასევე შენობის გამოსათავისუფლების შეჩერებისა თუ შეწყვეტის სხვა გარემოებების თაობაზე მფლობელის ინფორმირება⁸;

3.2.5 გაფრთხილების წერილის გაცემა №747 ბრძანების 1 დანართის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ დაკმაყოფილდა ამ ბრძანების მოთხოვნები;

3.2.6 იმის უზრუნველყოფა, რომ აღსრულების დონისძიებები განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება სოპ-ით გათვალისწინებული პროცედურა.

4. 'ადექვატური გრძელვადიანი/დროებითი საცხოვრებლის განმარტება მოცემული დოკუმენტის მიზნებისათვის

4.1. ადექვატური გრძელვადიანი საცხოვრებელი – საცხოვრებელი ფართი, რომელიც საკუთრებაში გადაეცემა დევნილს (დევნილთა ოჯახს) და

⁸ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანება "საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ", მუხლი 7, 8

შეესაბამება საქართველოში კოლექტიური ცენტრების მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის განსაზღვრულ ტექნიკურ, სანიტარულ და საცხოვრებელ სტანდარტებს (იხ. დანართი №1). საცხოვრებელი ფართი უზრუნველყოფილი უნდა იყოს გაზით (სადაც ეს შესაძლებელია მიმწოდებელი კომპანიის მხრიდან), ელექტრო-ენერგიით, წყლითა და კანალიზაციის სისტემებით (სადაც ეს შესაძლებელია მიმწოდებელი კომპანიის მხრიდან).

4.2. დროებითი საცხოვრებელი – საცხოვრებელი ფართი, რომელიც დროებით სარგებლობაში გადაეცემა დევნილს (ან დევნილის ოჯახს) და აკმაყოფილებს ტექნიკურ, სანიტარულ და საცხოვრებელ სტანდარტებს (იხ. დანართი №1). საცხოვრებელი ფართი უზრუნველყოფილი უნდა იყოს გაზით (სადაც ეს შესაძლებელია მიმწოდებელი კომპანიის მხრიდან), ელექტროენერგიით, წყლითა და კანალიზაციის სისტემებით (სადაც ეს შესაძლებელია მიმწოდებელი კომპანიის მხრიდან). დევნილისათვის (დევნილთა ოჯახისათვის) საცხოვრებელი ფართის დროებით სარგებლობაში გადაცემის მიზანია მათთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, სანამ შესაძლებელი იქნება მათთვის გრძელვადიანი საცხოვრებელი პირობების შექმნა.

5. პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები

სამინისტროსთან არსებული სამოქმედო გეგმის განხორციელების სამეთვალყურეო საბჭოს (შემდგომში – სამეთვალყურეო საბჭო) მიერ დამტკიცებული დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროცესის სახელმძღვანელო პრინციპებთან, კრიტერიუმებთან და პროცედურებთან ერთად, ზემოთხსენებული სამინისტრო, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოები და დონორი ორგანიზაციები (სამეთვალყურეო საბჭოს წევრები), რომლებიც ჩართულნი არიან პროცესში თანხმდებიან განაგრძონ თანამშრომლობა დევნილთათვის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საქმეში და იმოქმედონ შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად:

1. დევნილთა ფიზიკური უსაფრთხოებისა და დაცვით უზრუნველყოფა მათ ახალ საცხოვრებელ ადგილზე. დევნილთა გადაყვანა არ უნდა მოხდეს იმგვარ ახალ საცხოვრებელ ადგილას, სადაც საფრთხე შეექმნება მათ ფიზიკურ უსაფრთხოებას.
2. შენობის გამოთავისუფლების პროცესის დროს ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული, რომ დევნილები არ დარჩნენ უსახლკაროდ მათი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილებიდან განსახლების გამო დევნილთა სამოქმედო გეგმის შესაბამისად.
3. დევნილი პირებისა და მათი ოჯახების კონფიდენციალობის დაცვა მთელი პროცესის განმავლობაში.
4. უზრუნველყონ, რომ სხვა გრძელვადიან საცხოვრებელში გადაყვანილი დევნილის საცხოვრებელი პირობები უნდა შეესაბამებოდეს იმ მინიმალურ სტანდარტებს, რაც მიღებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. კერძოდ, დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანა უნდა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც

- დასრულდება შენობის რეაბილიტაცია თუ მშენებლობა და სამუშაოები ჩაბარდება დამკვეთს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს, რომ დევნილთათვის შეთავაზებული საცხოვრებელი აკმაყოფილებდეს, როგორც მინიმუმ, მინიმალური სტანდარტების მოთხოვნებს და სხვა საცხოვრებელ ადგილას დევნილთა გადაყვანა არ უნდა გახდეს დევნილთა ინტეგრაციისათვის ხელისშემშლელი ფაქტორი.
5. დაცული უნდა იყოს ოჯახის ერთიანობის პრინციპი. სამინისტრო უნდა შეეცადოს შეინარჩუნოს ოჯახის მთლიანობა, თუ საწინააღმდეგოს არ მოითხოვენ თავად დევნილთა ოჯახის წევრები, ისე, რომ არ მოხდეს ოჯახების ხელოვნური გაყოფა.
 6. დევნილებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დახმარების პროგრამები და მომსახურებები, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფოსა და კუმანტარული და განვითარების პროფილის მქონე ორგანიზაციების მიერ.
 7. გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის დროს თავიდან უნდა იქნას აცილებული დევნილთა დისკრიმინაცია ასაკის, სქესისა თუ სხვა საფუძვლებზე.
 8. დევნილებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნათლად განსაზღვრული გასაჩივრების მექანიზმები იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ მათთვის შეთავაზებული გრძელვადიანი საცხოვრებელი პირობები არ არის ადეკვატური. შეთავაზებული გრძელვადიანი საცხოვრებელი პირობების ადეკვატურობაზე სამინისტროსთან შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დევნილს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაასაჩივროს სამინისტროს გადაწყვეტილება ზემდგომ ორგანოში. მაგრამ აღნიშნული ვერ შეაჩერებს სოპ-ის პროცედურების შესაბამისად ფართების გამოთავისუფლებისა და დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის ღონისძიებებს.
 9. მოწყვლადი (ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, მოწყვლად კატეგორიას განეკუთვნება დევნილი ან მისი ოჯახის წევრი, იმ შემთხვევაში, თუ სხვა ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში გადაყვანა საფრთხეს შეუქმნის დევნილისა ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას) კატეგორიის დევნილებისათვის მიმართ უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად შერჩეული შეთავაზებები. პროცესში ჩართულმა მხარეებმა უნდა განახორციელონ მოწყვლადი კატეგორიის დევნილების იდენტიფიცირება და გადასცენ მათზე ინფორმაცია სამინისტროს შემდგომი შესაბამისი ღონისძიებებისათვის.
 10. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დევნილთათვის ეფექტური მონიტორინგის მექანიზმების შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცესებზე დაკვირვების შესაძლებლობა და, მათი სურვილის შემთხვევაში, განახორციელონ პროცესის მონიტორინგი.

6. შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის პროცედურები

6.1. სამინისტროსათვის პოლიციის წერილობითი შეტყობინება

სამინისტრო პოლიციიდან იღებს წერილს დევნილებით დასახლებული შენობის გამოთავისუფლების შესახებ ნებართვის მიღების თაობაზე. ნებართვის შესახებ თხოვნის მიღების შემთხვევაში სამინისტრო არკვევს აქვს თუ არა შენობას კოლექტიური ცენტრის სტატუსი.

6.2. კოლექტიური ცენტრების სტატუსის მქონე შენობები

მას შემდეგ, რაც სამინისტრო პოლიციიდან ან შენობის მესაკუთრისაგან იღებს წერილს შენობის გამოთავისუფლების ნებართვის თაობაზე, მას აქვს ერთი თვის ვადა პოლიციას გაუგზავნოს ოფიციალური თანხმობის წერილი მიღებულ წერილზე. იმ შემთხვევაში, თუ შენობა კოლექტიური ცენტრია (დევნილთა შესახებ კანონის (მუხლი 1 (i) შესაბამისად), სამინისტრო, ზოგადად, უარს აცხადებს გასცეს შენობის გამოთავისუფლების ნებართვა და ამის შესახებ ინფორმაციას აწვდის პოლიციას. თუმცა, სამინისტრომ, დევნილთა შესახებ სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის თანახმად, შესაძლოა გასცეს ნებართვა შენობის გამოთავისუფლებაზე შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

- ა) არსებობს კოლექტიური ცენტრის დანგრევის საშიშროება, ან შენობაში არსებული პირობები სხვაგვარ საფრთხეს უქმნიან იქ მცხოვრებთა ჯანმრთელობას;
- ბ) შენობა სახელმწიფო მიზნებისათვის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს;
- გ) შენობის ტიპიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი გადაკეთება გრძელვადიან საცხოვრებლად (ყოფილი საწარმო და სხვა.);
- დ) თუ კერძო ინვესტორმა შეისყიდა შენობა და აქვს წერილობითი შეთანხმება შენობაში მცხოვრებ დევნილებთან ფულადი კომპენსაციის/ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფის თაობაზე, დევნილების შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-4(ა) ნაწილის მიხედვით.

თუ ზემოხსენებულ გამონაკლის შემთხვევებში სამინისტრო გასცემს კოლექტიური ცენტრის სტატუსის მქონე შენობის გამოთავისუფლების ნებართვას, შენობის გამოთავისუფლების პროცესზე გავრცელდება სოპ-ის პრინციპები.

6.3. კოლექტიური ცენტრის სტატუსის არმქონე შენობები

იმ შემთხვევაში, თუ შენობას არ აქვს კოლექტიური ცენტრის სტატუსი (მასზე არ ვრცელდება დევნილთა შესახებ კანონის მუხლი 1(i)), მას შემდეგ, რაც სამინისტრო პოლიციიდან იღებს წერილს შენობის გამოთავისუფლების ნებართვის თაობაზე, მას პოლიციისათვის

ოფიციალური ნებართვის შესახებ წერილის გასაგზავნად ერთი თვის ვადა აქვს (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი)⁹. ნებართვის შესახებ წერილის მიღებისთანავე, სამინისტრო პოლიციიდან მიღებული შეტყობინების დღიდან გამოყოფს 15 კალენდარულ დღეს პროფაილინგისა და მონაცემების დამუშავებისათვის¹⁰, ალტერნატიული შეთავაზებების იდენტიფიცირების მიზნით, განსაკუთრებით მოწვევად კატეგორიებთან მიმართებაში, სანამ მოხდება შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის შესახებ დევნილების ინფორმირება შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანამდე 10 დღით ადრე. ამას გარდა, პროფაილინგის შედეგებიდან გამომდინარე, სამინისტრო ადგენს, წარმოადგენს თუ არა შენობა დროებით თავშესაფარს, რომელიც სახელმწიფომ 2008 წლის ომის შემდგომ, შექმნილი ფორს-მაჟორული სიტუაციიდან გამომდინარე, დროებით გამოუყო 2008 წლის აგვისტოდან იძულებით გადაადგილებულ პირებს.

6.3.1 ამგვარი გარემოების არარსებობის შემთხვევაში, სამინისტრო ოფიციალურ თანხმობას აძლევს შენობაში მცხოვრები კონკრეტული დევნილების განსახლების თაობაზე. შესაძლებელია სამინისტრომ გამოსცეს დოკუმენტი, რომელიც დაუშვებლად აღიარებს აღსრულების ღონისძიებათა განხორციელებას, იმ შემთხვევაში თუ არსებობს იმგვარი გარემოებები, რომლებიც გამოიწვევენ დევნილთა უფლებების დარღვევას, მაგალითად, ალტერნატიული საცხოვრებლის არარსებობა. მესაკუთრის უფლებებთან დაკავშირებით, სამინისტრომ უნდა მიიღოს ზომები, რომ მოძებნოს ალტერნატიული საცხოვრებელი და პოლიციასა და მესაკუთრეს მიაწოდოს ინფორმაცია სავარაუდო დროის შესახებ, როდესაც ისინი მიიღებენ სამინისტროს თანხმობას.

6.3.2 იმ შემთხვევაში, თუ შენობა დროებით თავშესაფარს წარმოადგენს 2008 წლის ომის შემდგომ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, თუ ამ შენობაში დევნილებს დროებითი თავშესაფარი სამინისტრომ მიუჩინა (იმ შემთხვევაშიც კი, თუ შენობას არ აქვს კოლექტიური ცენტრის სტატუსი), ნებართვის გაცემა დამოკიდებულია იმაზე, დაკმაყოფილდა თუ არა დევნილი ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით თუ შესაბამისი კომპენსაციით.

6.4. დევნილთა პროფაილინგი და მონაცემების დამუშავება

პროფაილინგი გულისხმობს შენობაში მცხოვრები ყველა დევნილი ოჯახის იდენტიფიცირებას და მათი მდგომარეობის ინდივიდუალურ შესწავლას. მიღებული ინფორმაცია გახდება დევნილთა გრძელვადიანი

⁹ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის I პუნქტის მიხედვით

¹⁰ შენიშვნა: პოლიციის მიერ გაკეთებული შეტყობინების დღედ ითვლება ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში წერილის ოფიციალური რეგისტრაციის დღე.

საცხოვრებლით უზრუნველყოფის საფუძველი. დევნილებს მათი მდგომარეობის შესაბამისად რეგულაციურ საცხოვრებელ პირობებს შესთავაზებენ.

პროფაილინგი სამინისტროს პასუხისმგებლობას წარმოადგენს და მიმდინარე პროცესია. ის მიზნად ისახავს დევნილთა გარკვეული კატეგორიებისათვის პრიორიტეტის მინიჭებას, დევნილთა შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის, სამოქმედო გეგმისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

სამინისტრო პასუხისმგებელია დევნილთა ოჯახებისა და შენობაში მცხოვრები დევნილის სტატუსის მოლოდინში მყოფი პირების პროფაილინგიზე; პროფაილინგის ეტაპზე სამინისტროს თანამშრომლები დევნილებს გადასცემენ ინფორმაციას შენობის გამოთავისუფლების შესახებ (იხ. დანართი 2: პროფაილინგის ანგარიშის ფორმატი).

6.4.1. სამინისტრო 2 დღის განმავლობაში ახორციელებს ვიზიტებს შენობაში, რათა შეაგროვოს შემდეგი ინფორმაცია იქ მცხოვრები პირების შესახებ: სახელი და გვარი, დაბადების თარიღი და პასპორტის ნომერი, ასევე სხვა პირადი მონაცემები, განსაკუთრებული გარემოებების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით, რაც საჭიროებს სპეციალურ გადაწყვეტას;

6.4.2. შედგება ანგარიში, რომელშიც აღწერილი იქნება დევნილი ოჯახების მდგომარეობა 8 კატეგორიის მიხედვით;

6.4.3. პროფაილინგის ანგარიში (პერსონალური მონაცემების გარდა) მოთხოვნის შესაბამისად შესაძლოა გახდეს საჯარო ინფორმაცია;

6.4.4. სამინისტრომ უნდა დააკმაყოფილოს დევნილი ოჯახების საჭიროებები, მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, პროფაილინგის ანგარიშის მიხედვით მინიჭებული კატეგორიის შესაბამისად. (იხ. ნაწილი

6.5. – გადაწყვეტილებები კატეგორიების მიხედვით).

6.4.5. დევნილის სტატუსის მოლოდინში მყოფი პირების განაცხადების დამუშავება და დასრულება ხდება პროფაილინგიდან მაქსიმუმ 7 კალენდარული დღის განმავლობაში.

6.4.6 სამინისტრო მოინახულებს ყველა პოტენციურ საცხოვრებელს, რათა დარწმუნდეს, რომ ეს შენობები აკმაყოფილებენ თავშესაფრის შესახებ გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის მიერ დადგენილ სტანდარტებს (იხ. დანართი №1)

6.4.7. იმ შემთხვევაში, თუ პირი (დევნილი ოჯახი) უარს განაცხადებს სამინისტროსათვის პროფაილინგისათვის საჭირო მისი მონაცემების მიწოდებაზე ან 6.7 პუნქტის შესაბამისად ინდივიდუალური შეტყობინების მიღებაზე ან იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ღონისძიებები ვერ განხორციელდება იმ მიზეთით, რომ ვერ მოხერხდება პირის (დევნილი ოჯახის) მოძებნა ან მასთან დაკავშირება ამ ობიექტში, ასეთი შემთხვევებისათვის ობიექტის გამოთავისუფლებისა და გადაყვანის ღონისძიებები განხორციელდება შეუფერხებლად, სოპ-ის წესების შესაბამისად.

6.5 გადაწყვეტილებები კატეგორიების მიხედვით

შემდეგი სახის გადაწყვეტილებები ვრცელდება იმ დევნილებზე, რომლებიც ცხოვრობენ იმ კოლექტიურ ცენტრებში, რომლებიც უნდა გამოთავისუფლდეს:

1. დევნილი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან და ცხოვრობდნენ სხვა კოლექტიურ ცენტრში თბილისში, მაგრამ ამ დროისთვის თვითნებურად ცხოვრობენ იმ შენობაში, რომელიც უნდა გამოთავისუფლდეს;
2. დევნილი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან და ცხოვრობდნენ სხვა კოლექტიურ ცენტრში რეგიონში, მაგრამ ამ დროისთვის თვითნებურად ცხოვრობენ იმ შენობაში, რომელიც უნდა გამოთავისუფლდეს.

გადაწყვეტილება: დევნილი ოჯახები ვალდებული არიან, გამოთავისუფლდნენ დაკავებული შენობა მოცემულ დროში და დაუბრუნდნენ შესაბამის კოლექტიურ ცენტრებს, თავიანთი რეგისტრაციის ადგილებში.

3. დევნილები, რომლებმაც თავიანთი სტატუსის მიხედვით მიიღეს კომპენსაცია ან საცხოვრებელი ფართი.

გადაწყვეტილება: დევნილი ოჯახები ვალდებული არიან გამოთავისუფლდნენ დაკავებული შენობა მოცემულ დროში და დაბრუნდნენ იმ საცხოვრებელში, რითაც ისინი მთავრობამ უზრუნველყო, ან ფინანსური კომპენსაციით ნაყიდ საცხოვრებელში.

4. დევნილი ოჯახები, რომელთაც არ მიუღიათ კომპენსაცია მთავრობისგან (კომპენსაცია ან საცხოვრებელი ფართი) და არიან რეგისტრირებული კერძო სექტორში თბილისში;
5. დევნილი ოჯახები, რომელთაც არ მიუღიათ კომპენსაცია მთავრობისგან (კომპენსაცია ან საცხოვრებელი ფართი) და არიან რეგისტრირებული კერძო სექტორში, რეგიონებში).

გადაწყვეტილება: დევნილი ოჯახები ვალდებული არიან გამოთავისუფლდნენ დაკავებული შენობა მოცემულ დროში და დაბრუნდნენ ადრინდელ საცხოვრებელში. 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებულ სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ოჯახების ამ კატეგორიას, საჭიროების საფუძველზე, მთავრობა შესთავაზებს გრძელვადიან საცხოვრებელს, როგორც ეს გათვალისწინებულია “იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით”.

6. ოჯახები, რომლებიც ელოდებიან ფინანსურ დახმარებას ან გადაწყვეტილებას მათ დევნილის სტატუსზე.

გადაწყვეტილება: სამინისტრო უზრუნველყოფს ფინანსური დახმარების გაცემას ან/და განიხილავს სტატუსის გაცემის საკითხს შენობის გამოთავისუფლებამდე. თუ პიროვნება ვერ მიიღებს დევნილის სტატუსს, მათთვის იგივე წესი იმოქმედებს, რაც არადევნილებისთვის (იხ. 8 პუნქტი).

7. ოჯახები, რომლებიც ოფიციალურად დარეგისტრირებულნი არიან იმ შენობაში, რომელიც უნდა გამოთავისუფლდეს, მიუხედავად იმისა, რომ შენობას არა აქვს კოლექტიური ცენტრის სტატუსი.

გადაწყვეტილება: დევნილი ოჯახები ვალდებული არიან, გამოათავისუფლონ დაკავებული შენობა მოცემულ დროში. 2009 წლის 28 მაისის №403 განკარგულებით დამტკიცებულ სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ოჯახების ამ კატეგორიას, მთავრობა შესთავაზებს გრძელვადიან საცხოვრებელს, როგორც ეს გათვალისწინებულია “იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ 2009-2012 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმით”. სამინისტრო მიიღებს ყველა შესაძლო ზომას ალტერნატიული, სულ მცირე დროებითი საცხოვრებლის შეთავაზების მიზნით, იმავე ტერიტორიაზე, სადაც დევნილი ამჟამად არის რეგისტრირებული.

8. არადევნილი ოჯახები.

გადაწყვეტილება: ოჯახები ვალდებული არიან, გამოათავისუფლონ დაკავებული შენობა მოცემულ დროში. ინფორმაცია ამ ოჯახების შესახებ გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობებს.

1, 2, 3 და 8 კატეგორიების ოჯახებს, მათთვის გაგზავნილ ინდივიდუალურ შეტყობინებაში არ შესთავაზებენ არანაირ ალტერნატიულ გადაწყვეტილებას.

6.6 ინფორმაციის მიწოდება

6.6.1. ინდივიდუალური შეტყობინება

პროფაილინგის დასრულების შემდეგ, სამინისტროს წარმომადგენლები პირადად გადასცემენ წერილობით შეტყობინებას სათითაოდ ყველა ოჯახს, რომ სავარაუდოდ შენობის გამოთავისუფლებას პოლიცია განახორციელებს არაუადრეს 10 კალენდარული დღის ვადაში. (იხ. დანართი 3, ინდივიდუალური შეტყობინება)

იმ შემთხვევებში, როცა ეს შეუძლებელია (მაგ: არყოფნის გამო, ან უარს აცხადებს ჩაბარებაზე), სამინისტროსა და, შესაძლებლობის შემთხვევაში, მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენელი წერილს ტოვებენ დევნილი ოჯახის შესასვლელი კარის ქვეშ ან საფოსტო ყუთში. სამინისტროს წარმომადგენელი საკუთარ სიაში აკეთებს აღნიშვნას იმის შესახებ რომ ა) დევნილმა ჩაიბარა წერილი, ბ) უარი

განაცხადა ჩაბარებაზე ე) არ იმყოფებოდა ადგილზე. ამ პროცედურის შემდგომ შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება. გამოსათავისუფლებელ შენობაში მცხოვრები დევნილებისათვის გაგზავნილ ინდივიდუალურ წერილობით შეტყობინებაში ნათქვამია, რომ სამინისტრო აპირებს პოლიციისათვის გასცეს ნებართვა შენობაში მაცხოვრებელი დევნილი ოჯახების შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის თაობაზე (10 დღით ადრე გაკეთებული შეტყობინების გასვლის შემდეგ), რასაც მოჰყვება გამაფრთხილებელი წერილის გამოცემა და აღსრულების ღონისძიებები პოლიციის მხრიდან, №747 ბრძანების შესაბამისად. წერილში მითითებულია პოლიციის მიერ შენობის გამოთავისუფლების აღსრულების სავარაუდო თარიღი და იგი მოუწოდებს დევნილებს ისარგებლონ ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამით, ასეთის შეთავაზების შემთხვევაში, საკონსულტაციო შეხვედრითა და სხვა საცხოვრებელში გადაყვანაში დახმარების ღონისძიებებით, რომელსაც ორგანიზებას უწევს სამინისტრო.

ამას გარდა, ინდივიდუალური წერილობითი შეტყობინებაში განმარტებული უნდა იყოს გაცემული ნებართვის მოკლე სამართლებრივი საფუძველი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- შენობის სტატუსი; აქვს თუ არა შენობას კოლექტიური ცენტრის სტატუსი; სახელმწიფო საკუთრებაა იგი თუ კერძო;
- დევნილი ოჯახის სტატუსის დადგენა: ვის აქვს დევნილის სტატუსი;
- შეეთავაზა თუ არა დევნილს ალტერნატიული საცხოვრებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- რა სახის ალტერნატიული გრძელვადიანი საცხოვრებლის შეთავაზება მოხდა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სამინისტროს მიერ შენობაში მცხოვრები დევნილებისათვის დაგეგმილი კონსულტაციის პერიოდი, თარიღი და დრო;
- პოტენციური განსახლების ადგილზე დაგეგმილი ვიზიტის დრო და თარიღი.

[შეტყობინებაში აღნიშნულია, რომ ის არ წარმოდგენს სამართლებრივ გადაწყვეტილებას და მისი მიზანია დევნილების მომზადება დაგეგმილი ღონისძიებისათვის. ამასთან, თუ შეტყობინებაში მოცემული რაიმე ინფორმაცია არის არასწორი, დევნილმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს სამინისტროს. შენობის გამოთავისუფლების წინააღმდეგ ფორმალური სამართლებრივი დაცვის საფუძველი შესაძლოა გახდეს, სამინისტროს მხრიდან ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, მხოლოდ პოლიციის მიერ გაგზავნილი ოფიციალური შეტყობინება].

6.6.2. საჯარო/ერთობლივი შეტყობინება

შენობაში, რომელიც უნდა გამოთავისუფლდეს/ მოხდეს დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანა, სამინისტრო თვალსაჩინო ადგილას განათავსებს ორი სახის საჯარო შეტყობინებას. შეტყობინებებში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

შეტყობინება No.1:

- შენობის სტატუსი: შენობას აქვს/ან არ აქვს კოლექტიური ცენტრის სტატუსი, სახემწიფო საკუთრებაა თუ კერძო საკუთრება;
- სამინისტროს მიერ შენობაში მცხოვრები დევნილებისათვის დაგეგმილი კონსულტაციის პერიოდი, თარიღი და დრო;
- ინფორმაცია შეთავაზებულ გრძელვადიან საცხოვრებელზე;
-

შეტყობინება No.2:

- ზოგადი ინფორმაცია შეთავაზებული გრძელვადიანი საცხოვრებლის შესახებ;
- პოტენციურ საცხოვრებელში დაგეგმილი ვიზიტის დრო და თარიღი;
- ფოტოები და ინფორმაცია შეთავაზებულ საცხოვრებელზე, რომელიც ასახავს ზუსტ ადგილმდებარეობას, სერვისებზე ხელმისაწვდომობას, საცხოვრებლის მდგომარეობას და სხვ.
- დაგეგმილი შენობის გამოთავისუფლების/დევნილთა სხვა საცხოვრებელში გადაყვანის დრო და თარიღი.

6.6.3 კონსულტაციები

სამინისტროს წარმომადგენლები მიდიან შენობაში საჯარო შეტყობინებაში აღნიშნულ დროს და განუმარტავენ დევნილებს საცხოვრებლის შეთავაზებასთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციას, ასევე მიაწვდიან ზოგად ინფორმაციას შეთავაზებული საცხოვრებლის შესახებ.

6.7. ვიზიტები შეთავაზებულ საცხოვრებელში

სამინისტრო უზრუნველყოფს შეთავაზებულ საცხოვრებელ ადგილზე ორგანიზებულ ვიზიტს. ტრანსპორტირებას შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს სამინისტრო ან სამინისტროს თხოვნით ნებისმიერი დაინტერესებული მხარე.

6.8. თანხმობა პოლიციას

იმ შემთხვევაში, თუ დევნილები ნებაყოფლობით არ დატოვებენ შენობას შეტყობინებიდან მეათე დღეს (მე-10 დღე ოფიციალური შეტყობინებიდან, 25-ე დღე მოთხოვნის წერილიდან), სამინისტრო პოლიციას თანხმობას აძლევს შენობის დაცლის თაობაზე.

პოლიცია გაფრთხილების წერილს გადასცემს ყოველ ინდივიდუალურ პირს, №747 ბრძანებაში აღნიშნულის თანახმად, რომელშიც ასევე განმარტებულია, თუ რა ხელისშემშლელი ფაქტორების¹¹ არსებობის შემთხვევაში შეიძლება შეწყდეს ან შეჩერდეს პროცესი.

¹¹ დამაბრკოლებელი ფაქტორები, რაც არ გამომდინარეობს დევნილის სტატუსიდან ან კოლექტიური ცენტრის სტატუსიდან, და შეეხება მაგალითად ჯანმრთელობის მდგომარეობას, ან იმ გარემოებებს, რომლებიც აღნიშნულია ბრძანება №747-ის მე-7 და მე-8 მუხლებში.

6.9. შენობის გამოთავისუფლების დღე/დევნილთა ხელახალი განსახლება
სამინისტრო პასუხისმგებელია, აწარმოოს შენობის გამოთავისუფლებისა და დევნილთა განსახლების პროცესის მონიტორინგი და მოამზადოს ანგარიში, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ მონაცემებს პირების განსახლებასთან დაკავშირებით. ხდება ინფორმაციის კატეგორიზაცია და მოთხოვნის საფუძველზე მათი საჯაროობის უზრუნველყოფა, თუმცა ამოღებული იქნება პერსონალური ინფორმაცია. (იხ. დანართი №3 მონიტორინგის ანგარიშის ფორმატი).

6.9.1. შენობის გამოთავისუფლების გადავადების გამონაკლისი შემთხვევები
სამინისტრო გადაავადებს პოლიციისთვის თანხმობის წერილის გაგზავნას, თუ განსახლების დაგეგმილი დღისათვის:

- დევნილის სტატუსის მაძლიებელ ყველა პირს არ მიუღია პასუხი დევნილის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით დევნილთაგან შენობის გამოთავისუფლებამდე მინიმუმ ათი დღით ადრე;
- ყველა პიროვნებას, რომელსაც ეკუთვნის ფინანსური დახმარება, ფიზიკურად არ მიუღია იგი დევნილთაგან შენობის გამოთავისუფლებამდე მინიმუმ ათი დღით ადრე.

7. განსახლების შემდგომი მონიტორინგი

სამინისტრო ახორციელებს მონიტორინგის ვიზიტებს, რათა შეაფასოს განსახლების ადგილის გრძელვადიანობისა და ადექვატურობის დონე. სამინისტრო უზრუნველყოფს, რომ მოწყვლადი დევნილები იყვნენ განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ და საჭიროების შემთხვევაში, მიიღონ დახმარება. მონიტორინგი განხორციელდება განსახლების შემდგომი პროცესისათვის შედგენილი სტანდარტული სიის მიხედვით, რომელიც თან ერთვის მოცემულ დოკუმენტს (იხ. დანართი №4)

8. ცვლილებები მონაცემთა ბაზაში

სამინისტროს მონაცემთა ბაზაში შეაქვს ცვლილებები დევნილთა ახალი საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. მოხდება სხვა საცხოვრებელში გადაყვანის შესახებ ინფორმაციის კატეგორიზაცია და მათი საჯაროობის უზრუნველყოფა მოთხოვნის საფუძველზე, პერსონალური ინფორმაციის გამოკლებით განსახლების შემდგომი ანგარიშის ფორმატში (იხ. დანართი №5), სადაც აღნიშნული იქნება თითოეულ კატეგორიაში შემავალი ინდივიდუალური პირისა და ოჯახების რაოდენობა და მათთვის შეთავაზებული გადაწყვეტილებები, შესაბამის შემთხვევაში იმ საცხოვრებლის ადგილმდებარეობის ჩათვლით, სადაც მოხდა დევნილის განსახლება.